ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## *ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევები*

*(ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)*

შეფასების თარიღი – 2017 წლის 20 ოქტომბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2017

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | (სსიპ) - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | **204861970** |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევები (CEERES) |
| განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | კავკასიური კვლევების მაგისტრი 110406 |
| სწავლების ენა | ინგლისური |
| კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი,გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ანდრეი პუკსტო, Vytauta Magnus University; კაუნასი, ლიტვა |
| წევრი (სახელი,გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ფიქრია ასანიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი,გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | ერეკლე ასტახიშვილი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი,გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა) | თინათინ გაბრიჩიძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ახალი ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა *ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევები*. ეს არის უნივერსიტეტისა და მისი პარტნიორების - გლაზგოსა და ტარტუს უნივერსიტეტების ინტენსიური და ღრმა თანამშრომლობის შედეგი.

პროგრამა წარმოადგენს უნიკალურ შეთავაზებას ახალგაზრდებისათვის არამარტო საქართველოს ფარგლებში, არამედ ევროპის სხვა ქვეყნების ფარგლებში. დიდ პრივილეგიას წარმოადგენს ის, რომ პროგრამას აქვს მიღებული ევროპული გრანტი (დოტაციის) განვითარებისთვის.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ოთხკაციან ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა ჰქონდა ემსჯელა ახალი სამაგისტრო პროგრამების შესახებ რამდენიმე შეხვედრის განმავლობაში: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წევრებთან (პროგრამის პედაგოგები), მაგისტრანტებთან, სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულებთან, სოციალური პარტნიორებთან (დამსაქმებლები და სტაჟირების ხელმძღვანელები). ასევე, გაიმართა საუბარი სკაიპის მეშვეობით პარტნიორებთან გლაზგოს უნივერსიტეტიდან.

ექსპერტებმა დაათვალიერეს საკლასო ოთახები, ლაბორატორიები, ოფისები, ასევე შეამოწმეს სამაგისტრო ნაშრომები.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საგანმანათლებო პროგრამა სრულად შეესაბამება საქართველოში უმაღლესი განათლების სტანდარტებს, ასევე ევროკავშირის სტანდარტებს სამაგისტრო პროგრამებისთვის პოლიტიკური მეცნიერებების სფეროში. ექსპერტებს აქვთ რამდენიმე რჩევა თვითშეფასების ჯგუფისთვის, მაგრამ ეს ზეგავლენას არ ახდენს ძირითად დადებით შეფასებაზე.

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

ექსპერტებს წინადადება შეაქვთ, რომ ჩამოყალიბდეს უფრო ღრმა თანამშრომლობა სოციალურ პარტნიორებთან (დამსაქმებლებთან) და კურსდამთავრებულებთან, გამოინახოს ადგილობრივი ენების უფრო მაღალ დონეზე შესწავლის შესაძლებლობა (შეუძლებელია, რეგიონალური პოლიტიკის შესახებ კვლევის ჩატარება მხოლოდ ინგლისური და რუსული ენების მეშვეობით).

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

წინამდებარე სამაგისტრო პროგრამა შეიძლება გახდეს კარგი მაგალითი იმისა, როგორ უნდა შედგეს ერთობლივი პროგრამა როგორც კავკასიის, ასევე ევროპული უნივერსიტეტებში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმატებული და შედეგიანი

ურთიერთობები დაამყარა ევროპულ უმაღლეს სასწავლებლებთან და ევროკავშირის ფარგლებს გარეთ არსებულ ინსტიტუტებთან. ეს მნიშვნელოვანი ექსპერიმენტია, განსაკუთრებით საერთაშორისო ურთიერთობებისა და ევროპული კავშირების საკითხებში.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

| |
|---|
| **1.1** პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული და შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მისიას. ნათელია, რომ ახალი პროგრამის ხედვაზე განხილვა მიმდინარეობდა სხვადასხვა დონეზე - როგორც სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ასევე რექტორთან. მეტიც, გამოყენებული იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და უცხოელ პარტნიორებს შორის თანამშრომლობის დიდი გამოცდილება. ამიტომ, ამ ახალი სასწავლო პროგრამის მომზადების დროს ბევრი კარგი პრაქტიკა იქნა გათვალისწინებული. სწავლის შედეგები საფუძვლიანად ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი მზადაა მოამზადოს პროფესიონალები, რომლებსაც აქვთ თანამედროვე და სისტემური ცოდნა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის, განსაკუთრებით კავკასიის რეგიონის შესახებ. ამ პროგრამის კურსდამთავრებულებს ექნებათ უნარები არამხოლოდ პოლიტიკური და უსაფრთხოების მდგომარეობის ანალიზისთვის, არამედ შეეძლებათ სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევების შეფასება, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებისა და კვლევის მეთოდების გამოყენება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ პროგრამის აღწერა<br>○ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრება<br>○ ადმინისტრაციასთან გასაუბრება |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| |
| **შეფასება** |
| X შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს |

| |
|---|
| 1.2. პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| სამაგისტრო პროგრამა "აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევები" შეიცავს 120 კრედიტს. ეს ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულ სამაგისტრო მოდელს წარმოადგენს. ბოლო სემესტრი ეთმობა სამაგისტრო ნაშრომის მომზადებას. პროგრამაში გათვალისწინებულია სხვადასხვა სპეციალობები, სტუდენტებს საშუალება ექნებათ, აირჩიონ ერთი რეგიონი უფრო ღრმა კვლევისთვის. ყველა მოდული რელევანტურია, არსებობს ლოგიკური კავშირები ერთმანეთს შორის. პროგრამა მოიცავს სავალდებულო კურსებს, როგორც თეორიულ (სოციალური მეცნიერების მეთოდოლოგია), ასევე პრაქტიკულ (შესავალი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთისა და ევრაზიის კვლევებში, ცენტრალური აზიის უსაფრთხოება და ა.შ.) პერსპექტივებს. სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, აირჩიონ კურსები, რომლებიც უკავშირდება პოსტ-სოციალისტური სივრცის საკითხებს, ასევე კურსები საერთაშორისო ურთიერთობების, ეკონომიკის ან სოციოლოგიის დარგებიდან. მესამე სემესტრის განმავლობაში გათვალისწინებულია სტაჟირება. ასევე არსებობს საშუალება, სამაგისტრო ნაშრომს უხელმძღვანელოს ერთზე მეტმა ხელმძღვანელმა სამაგისტრო პროგრამის კონსორციუმის სხვადასხვა უნივერსიტეტიდან. ამ პროგრამის პოზიტიურ მხარედ უნდა დასახელდეს ის, რომ პროფესორები სწავლების პროცესში იყენებენ სხვადასხვა მეთოდს. ეს მეთოდები გამომდინარეობს კომპონენტის შინაარსიდან და ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |
| ○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ პროგრამის აღწერა |
| **რეკომენდაციები:** |
| |

| |
|---|
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება** |
| X შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს |
| 1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| ყველა კურსი (მოდული) ერთმანეთთან დაკავშირებულია და შეესაბამება სტანდარტს. პროგრამა მოიცავს კომპლექსურ კურსებს საერთაშორისო ურთიერთობების, შედარებითი პოლიტიკის, ეკონომიკის, ისტორიისა და სამართლის სფეროებში. ესაა პროგრამის ტიპიური კომბინაცია პოლიტიკური მეცნიერების სფეროში სამაგისტრო დონეზე. აგრეთვე პროგრამა ითვალისწინებს რუსული ენის სწავლებას. ადგილობრივი ენების დამატება (მაგალითად, ქართული და სხვა კავკასიური ენები) მისასალმებელი იქნებოდა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |
| თვითშეფასების ანგარიში<br>პროგრამის აღწერა |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| მისასალმებელი იქნებოდა ქართული და სხვა კავკასიური ენების დამატება პროგრამის სტრუქტურაში. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის** |

| |
|---|
| შემთხვევაში) |
| |
| **შეფასება** |
| X შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს |

| |
|---|
| 1.4. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| პროგრამა წარმატებულად ითავსებს თეორიულ და პრაქტიკულ კურსებს, ასევე სტაჟირებასა და სამაგისტრო ნაშრომს. ასე რომ, სტუდენტები მიიღებენ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას. ზოგიერთი პროფესორი მუშაობს, როგორც ექსპერტი ნახევარ განაკვეთზე, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში. აკადემიური პერსონალი ნამდვილად გრძნობს შრომის ბაზრის აქტუალურ ტენდენციებს. ნათელია, რომ სტუდენტები კონკურენტუნარიანი იქნებიან პრაქტიკულ და აკადემიურ სამუშაოებზე, რადგან მათ აქვთ შესაძლებლობა შეიძინონ ყველა უნარი, რასაც შრომის ბაზარი მოითხოვს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |
| ○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ პროგრამის აღწერა<br>○ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრება<br>○ დამსაქმებლებთან გასაუბრება |
| **რეკომენდაციები:** |
| |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის** |

**შემთხვევაში)**

**შეფასება**

X შეესაბამება მოთხოვნებს

☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

1.5. პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებულია და ხორციელდება

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

კონტაქტები სოციალური პარტნიორებთან შეიძლება უფრო გაღრმავდეს. არსებობს თანამშრომლობის ძველი ტრადიცია უნივერსიტეტსა და სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის. სოციალური პარტნიორები მზად არიან, ამ პროცესს უფრო ინტენსიურად შეუერთდნენ.

სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს აქვთ ღრმა ურთიერთობები უნივერსიტეტთან. ისინი კმაყოფილნი არიან უნივერსიტეტში არსებული ატმოსფეროთი და პროფესორებთან და პერსონალთან ურთიერთობით. თუმცა ეს ურთიერთობები მხოლოდ ნაწილობრივ იქნა გამოყენებული პროგრამის სწავლის შედეგებისა და პროგრამების შემუშავებისას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამის აღწერა
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრება
- დამსაქმებლებთან გასაუბრება

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

ექსპერტებს წინადადება შემოაქვთ, რომ შეიქმნას უფრო ღრმა თანამშრომლობა სოციალური პარტნიორებთან (დამსაქმებლებთან) და კურსდამთავრებულებთან

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>X შეესაბამება მოთხოვნებს<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს<br><br>☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს |

**პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან**

| სტანდარტი | შეესაბამება მოთხოვნებს | ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შეესაბამება მოთხოვნებს | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

| |
|---|
| 2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სამაგისტრო პროგრამას კოორდინირებას უწევს გლაზგოს უნივერსიტეტი. ჩარიცხვის წესები და წინაპირობები ნათლად არის განსაზღვრული, განაცხადის მიღების პროცედურის შესახებ ინფორმაცია ღია და ხელმისაწვდომია აპლიკანტებისთვის. განაცხადები მიიღება ონლაინ რეჟიმში. პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია გლაზგოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, კატეგორია - *მოთხოვნები მიღებასთან დაკავშირებით და როგორ უნდა გავაკეთოთ განაცხადი* (კურსდამთავრებულთა სასწავლო პროგრამები: ჩარიცხვის მოთხოვნები/როგორ გავაკეთოთ განაცხადი?). კანდიდატს უნდა ჰქონდეს მიღებული ბაკალავრის ხარისხი ნებისმიერ სფეროში. განაცხადის მიღება ილიას სახელმწიფო |

| |
|---|
| უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეცაა შესაძლებელი. უნივერსიტეტი (კატეგორია: სამაგისტრო პროგრამები) - http://www.gla.ac.uk/postgraduate/taught/centraleasteuropeanrussianeurasianstudies/#/entryrequirements,howtoapply; https://iliauni.edu.ge/ge/study/magistratura-214 |
| **რეკომენდაციები:** |
| |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| |
| **შეფასება** |
| X შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს |

| 2.2. პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| სწავლების მეთოდოლოგია ხელს უწყობს პროგრამის მიზნების განხორციელებას. ამ სამაგისტრო პროგრამაში გამოყენებულია შემდეგი სწავლების მეთოდები:<br>• ლექცია და სემინარი/წერითი და ზეპირი მეთოდი;<br>• პრაქტიკული მუშაობის მეთოდი;<br>• ჯგუფური და ინდივიდუალური პროექტები;<br>• დემონსტრირების მეთოდი;<br>• მსჯელობა/დებატები;<br>• Case Study;<br>• ბრეინსტორმინგი;<br>• სიმულაციები;<br>• სწავლების გამოცდილება;<br>ამ პროგრამისთვის გამოყენებული სწავლების მეთოდები სტუდენტებს მისცემს სიღრმისეულ თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ და კვლევით უნარებს. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო პროგრამა;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი (დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ - ოქმი №8, 20.07.2015 და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.iliauni.edu.ge)
- სილაბუსი
- თვითშეფასების ანგარიში

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

X შეესაბამება მოთხოვნებს

☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამაგისტრო პროგრამის თანმიმდევრობა და წინაპირობები ლოგიკურად არის აგებული. პირველი სემესტრი სტუდენტები სწავლობენ ტარტუს უნივერსიტეტში, სადაც ისინი გაეცნობიან სფეროს ძირითად ასპექტებს, თეორიებს, მონაწილე მხარეებსა და მიმდინარე საკითხებს. მეორე სემესტრში, გლაზგოს უნივერსიტეტში, სტუდენტები გაიღრმავებენ დარგთაშორის კვლევით უნარ-ჩვევებს, ხოლო მესამე სემესტრში ისწავლება უშუალოდ სპეციალიზაციის კურსები (კავკასიელი სტუდენტები). ყველა ეს ნაბიჯი დაეხმარება სტუდენტს მეოთხე სემესტრის განმავლობაში სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში. სტუდენტი ამზადებს ნაშრომს 3 ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ. შეხვედრაზე ისიც იქნა განმარტებული, რომ სამივე (3) ხელმძღვანელი ხელს უწყობს სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაში იმ კვლევითი უნარ-ჩვევებისა და მეთოდების შესაბამისად, რომლებიც სტუდენტებმა სწავლის

| |
|---|
| პროცესში შეიძინეს. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება** |
| X შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს |

| |
|---|
| 2.4. სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამაში გამოყენებულია შუალედური და საბოლოო შეფასების სისტემები. შეფასების კრიტერიუმები მითითებულია სილაბუსებში..<br>თითოეული კომპონენტის შეფასების წესი უზრუნველყოფს ამ კომპონენტის მიერ განსაზღვრული შედეგების მიღწევას. თუმცა, ყველა პარტნიორ უნივერსიტეტს აქვს შეფასების სხვადასხვა სისტემა. უნივერსიტეტები შეთანხმდნენ შეფასების სისტემების კონვერტაციაზე. ქულების კონვერტაციის მოდელი მოცემულია პროგრამის სასწავლო პროგრამაში.<br>ყოველი სტუდენტის შეფასების მონაცემები მოთავსდება შიდასაუნივერსიტეტო ელექტრონულ პორტალ "არგუსში" http://argus.iliauni.edu.ge/ |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |
| 1. სამაგისტრო პროგრამა-კურიკულუმი<br>2. თვითშეფასების ანგარიში |

| |
|---|
| 3. აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული თანხის გადახდის წესი სტუდენტის/სტუდენტის შეფასების, კრედიტის მინიჭების წესში/უნივერსიტეტის დამატებითი/განმეორებითი კურსების/კომპონენტების შესახებ წესში, რაც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ (ოქმი №12, 20.11.2015, ოქმი №23, 27.09.2016, ოქმი №25, 01.12.2016). შესაბამისი დოკუმენტაცია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეა ხელმისაწვდომი;<br>4. სილაბუსები<br>5. შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან |
| **რეკომენდაციები:** |
| |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| |
| **შეფასება** |
| X შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს |

| |
|---|
| 2.5. სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| "არგუსში" სტუდენტები გაეცნობიან სასწავლო პროგრამის შინაარსს და შეფასების კრიტერიუმებს. კურსის მსვლელობისას სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ თვალყური მიადევნონ მიმდინარე შეფასებებს და კურსის განმავლობაში მიღწეული შედეგებს. "არგუსი" საშუალებას იძლევა, დამყარდეს ეფექტური და მარტივი კომუნიკაცია ლექტორსა და სტუდენტს შორის, ასევე, საშუალებას მისცემს ლექტორებს, მიაწოდონ სტუდენტებს უკუკავშირი მათი მუშაობის, შედეგებისა და ნაკლოვანებების შესახებ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |
| სტუდენტებთან გასაუბრება შეხვედრის დროს. |
| **რეკომენდაციები:** |
| |

| |
|---|
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| შეფასება |
| X შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს |

## პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან

| სტანდარტი | შეესაბამება მოთხოვნებს | ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შეესაბამება მოთხოვნებს | | |

## 3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

| 3.1 სტუდენტი იღებს თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>რადგანაც პროგრამა ახალია და ჯერ კიდევ არ ჰყავს სტუდენტები, მოხდა შეხვედრა ქართულენოვან სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებთან.<br>სტუდენტებმა, ისევე როგორც კურსდამთავრებულებმა, აღნიშნეს, რომ პროფესორ-მასწავლებლები და ხელმძღვანელები ძალიან ეხმარებიან სწავლების პროცესში. რადგანაც სტუდენტები პირველკურსელები არიან, მათ ვერ შეძლეს მეტი ინფორმაციის მოწოდება ხელმძღვანელების შესახებ და კურსდამთავრებულების მიერ მოწოდებული ინფორმაცია უფრო რელევანტური იყო ამ საკითხთან დაკავშირებით. თვითშეფასების ანგარიშისა და ადმინისტრაციასთან გასაუბრების თანახმად, ელექტრონული სისტემა "არგუსი" ძალიან ეხმარება სტუდენტებს, რადგან უზრუნველყოფს მათ სილაბუსით, სასწავლო მასალებითა და საჭირო ინფორმაციით. სისტემა საშუალებას აძლევს სტუდენტებს შექმნან საკუთარი სასწავლო გეგმა მათი პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ასევე, შეიძლება გამოყენებულ იქნას ინტერაქტიული ინსტრუმენტის სახით სტუდენტსა და ლექტორს შორის, სადაც სტუდენტი იღებს ონლაინ-კონსულტაციებს, შუალედურ შეფასებებს ლექტორებისგან, აგრეთვე შეფასების მონაცემებსა და აკადემიურ მიღწევების შესახებ ინფორმაცია. სტუდენტებმა დაადასტურეს აღნიშნული ინფორმაცია და განაცხადეს, რომ ისინი ხშირად იყენებენ "არგუსს" და თვლიან, რომ სისტემა ძალიან ეხმარებათ. სტუდენტები ძირითადად ინფორმაციას იღებენ ელექტრონული ფოსტის და ელექტრონული სისტემის "არგუსის" მეშვეობით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ პროგრამა<br>○ გასაუბრება სტუდენტებთან და/კურსდამთავრებულებთან<br>○ გასაუბრება ადმინისტრაციასთან<br>○ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია |
| **რეკომენდაციები:** |
| |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| |

| |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| |
| **შეფასება** |
| X შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს |

| |
|---|
| 3.2. დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| სტუდენტებს ჰყავთ სამი ხელმძღვანელი (ერთი თითო უნივერსიტეტიდან) და მათთან დაგეგმილია 6 სავალდებულო შეხვედრა. შეხვედრებზე სამივე ხელმძღვანელი უნდა იყოს წარმოდგენილი (მათგან 2 ონ-ლაინ მიიღებს მონაწილეობას). უნივერსიტეტის სტუდენტის წარმომადგენელი მე-3 სემესტრს გაატარებს წამყვანი ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ. სტუდენტები იღებენ დახმარებას და ხელმძღვანელობას ნაშრომის დაწერის შესახებ და დისერტაციის სავარაუდო თემების შესახებ პირველი სემესტრიდან ტარტუს უნივერსიტეტში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტარტუში შეხვედრის დროს, სამივე უნივერსიტეტის წარმომადგენლები დაესწრებიან და სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ დაუსვან შეკითხვები და იმსჯელონ საკუთარ ინტერესებზე. სტუდენტები ისწავლიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, თუ მათი კვლევის ინტერესი კავკასიის რეგიონია. სამაგისტრო ნაშრომის სახელმძღვანელო მოიცავს სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობის პროცესს, ასევე დახმარების მიღებას სწავლის პერიოდში.<br>დამამთავრებელი კურსის სტუდენტებმა გასაუბრების დროს განაცხადეს, რომ პროფესორები დაეხმარნენ და მხარს უჭერდნენ სწავლის პერიოდში, ხოლო კონსულტაციის საათები მითითებულია თითოეული კურსის სილაბუსში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |
| ○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია<br>○ პროგრამის კურსების სილაბუსი<br>○ გასაუბრება დამამთავრებელი კურსის სტუდენტებთან |
| **რეკომენდაციები:** |
| |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| |

| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
|---|
| |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| |
| **შეფასება** |
| X შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს |

| 3.3. დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| პროგრამა მოიცავს სტაჟირებას (6 კრედიტი), რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მესამე სემესტრის სავალდებულო კურსია და ემსახურება სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას. კრედიტი გულისხმობს სტუდენტის, პრაქტიკის ორგანიზაციის ხელმძღვანელისა და უნივერსიტეტის პრაქტიკის ხელმძღვანელს შორის პარტნიორობას. სტაჟირება კარგადაა დაგეგმილი, ნათელია შეფასება და მოიცავს მიმდინარე *(უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილი პრაქტიკის ხელმძღვანელის შუალედური შეფასება, სტაჟირების განმახორციელებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელის შეფასება)* და შემაჯამებელ *(სტუდენტის ინტერნატურის დასკვნითი ანგარიში)* შეფასებებს. კვლევის კომპონენტი მოცემულია პროგრამაში, რადგან ეს არის სამაგისტრო საფეხური. სამაგისტრო ნაშრომი მე-4 სემესტრშია (30 კრედიტი), მაგრამ კვლევითი მეთოდოლოგია ისწავლება როგორც პირველ სემესტრში დამოუკიდებელი კურსის სახით და ითვალისწინებს სტუდენტების კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. გარდა ამისა, სტუდენტებს უნდა ჰქონდეთ რეგულარული ურთიერთობა ხელმძღვანელებთან პირველი სემესტრიდან და პირველი სემესტრის ბოლოს ნაშრომის თემა უნდა წარადგინონ. კურიკულუმ გარეშე აქტივობებისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, ხელმისაწვდომია ზაფხულის სკოლა.<br><br>კურსდამთავრებულები საუბრის დროს ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც მათ უნივერსიტეტში შეიძინეს, ეხმარებათ სამუშაო მოვალეობების შესრულებაში.<br><br>ჩვენი გუნდს გაესაუბრნენ GFSIS- ის და CIPDD- ის წარმომადგენლები და გაირკვა, რომ სტუდენტებს ექნებათ პრაქტიკის გავლის საშუალება ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |
| ○ პრაქტიკის გეგმა;<br>○ მემორანდუმი პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებთან;<br>○ თვითშეფასების ანგარიში; |

- პროგრამის აღწერა;
- სამაგისტრო ნაშრომის სახელმძღვანელო;
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

X შეესაბამება მოთხოვნებს

☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

3.4. დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა არის "ერასმუს+" პროექტი და მთლიანად საერთაშორისოა. იგი გთავაზობთ ერთობლივ დიპლომს რამდენიმე ხარისხით და უზრუნველყოფს სტუდენტთა მობილობას 3 ქვეყანის უნივერსიტეტებში- ტარტუ, გლაზგო, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. სტუდენტებს ეყოლებათ 3 ხელმძღვანელი სამაგისტრო ნაშრომისთვის, მათი კვლევის ინტერნაციონალიზაციის ხარისხი საკმაოდ მაღალი იქნება.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ინტერნაციონალიზაცია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი პრიორიტეტია. პროფესორებს აქვთ საერთაშორისო გამოცდილება, ინტერვიუს დროს წარმოდგენილი პროფესორებიდან ორი - უცხოელი იყო.

სტუდენტები, რომელთაც ინტერვიუში მონაწილეობა მიიღეს, განაცხადეს, რომ ისინი კარგად არიან ინფორმირებული გაცვლითი შესაძლებლობების შესახებ და იღებენ საჭირო ინფორმაციას ელ-ფოსტით. გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა უკვე მიიღო ხუთი სტუდენტიდან ორმა, სხვები კი მზადყოფნაში არიან.

სტუდენტების ინგლისური ენის დონე კარგი იყო.

ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას ასევე აღინიშნა, რომ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს

| |
|---|
| უცხოელი სტუდენტების მასპინძლობისა და ხელმძღვანელობის გამოცდილება. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ პროგრამის აღწერა<br>○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან<br>○ გასაუბრება პროფესორებთან<br>○ აკადემიური პერსონალის CV<br>○ გასაუბრება ადმინისტრაციასთან |
| **რეკომენდაციები:** |
| |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| |
| **შეფასება** |
| X შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს |

## პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან

| სტანდარტი | შეესაბამება მოთხოვნებს | ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | შეესაბამება მოთხოვნებს | | |

4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

| |
|---|
| 4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| წინამდებარე პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის დეტალური ანალიზის, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ადგილზე ვიზიტის შედეგად, ჩვენ ვასკვნით, რომ მდგომარეობა სრულად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.<br>სასწავლო რესურსები კარგადაა ორგანიზებული და მოიცავს არგუსის ელექტრონულ სისტემას, (პროგრამის კურსები, რეესტრი, შეფასება, გამოხმაურება და ა.შ.), ბიბლიოთეკებსა და დარბაზებს, კომპიუტერული ლაბორატორიებს, ინტერნეტსა და სამეცნიერო გამოცემებს. ჩვენი გუნდს გაესაუბრა GFSIS- ის და CIPDD- ის წარმომადგენლებს და გაარკვია, რომ სტუდენტებს საშუალება ექნებათ, გაიარონ პრაქტიკა ზემოთ აღნიშნულ დაწესებულებებში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |
| მოწოდებული დოკუმენტაცია, ინტერვიუები, ადგილზე დათვალიერება. |
| **რეკომენდაციები:** |
| |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება** |
| X შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს |

| |
|---|
| 4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება: აკადემიური პერსონალის შემთხვევაში - ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი პროექტით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; ხოლო მოწვეული პერსონალის ან მასწავლების შემთხვევაში - შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| ადგილზე ვიზიტმა, შეხვედრებმა და ინტერვიუებმა თანამშრომლებთან და ფაკულტეტთან გვიჩვენა სრული შესაბამისობა სტანდარტული კომპონენტის მოთხოვნებთან.<br>აკადემიურ პერსონალს აქვს შთამბეჭდავი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება და პუბლიკაციები: სტატიები და მონოგრაფიები შესაბამის თემებზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |
| ინტერვიუები, CV-ები, პუბლიკაციები |
| **რეკომენდაციები:** |
| |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| |
| **შეფასება** |
| X შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ არ შეესაბამება მოთხოვნებ |

| |
|---|
| 4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| ადგილზე ვიზიტი: რექტორის ოფისის, დეკანის ოფისის, განვითარების სამსახურის, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, ბიბლიოთეკარებთან შეხვედრებმა ნათელყო, რომ ადმინისტრაციულ პერსონალს აქვს საჭირო კომპეტენცია და მზადაა სტუდენტების მხარდაჭერისთვის. სამი ადამიანი მეცნიერებათა და |

| |
|---|
| ხელოვნების ფაკულტეტის დეკანატიდან დაეხმარება სტუდენტებს: ხარისხის უზრუნველყოფაში, კოორდინირებასა და ზედამხედველობაში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |
| ინტერვიუები, შენობების დათვალიერება, "არგუსის" ელექტრონული სისტემა |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>X შეესაბამება მოთხოვნებს<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს<br><br>☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს |

| |
|---|
| 4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი კარგადაა აღჭურვილი თანამედროვე სასწავლო მასალებით, მათ შორის, ელექტრონული და ბეჭდური გამოცემებით, ასევე ინტერნეტის ხელმისაწვდომობითა და კომპიუტერული საშუალებებით. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, გამოიყენონ საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკები და მონაცემთა ბაზის სისტემა. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ გამოიყენონ პარტნიორი უნივერსიტეტების ბიბლიოთეკის რესურსები. სილაბუსში აღნიშნული სასწავლო მასალები განახლებულია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |
| ბიბლიოთეკის მონახულება, "არგუსის" ელექტრონული სისტემა და ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:** |

| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: |
|---|
| |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება** |
| X შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს<br>☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს |

| 4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| პროგრამა განხორციელდება ევროკავშირის "ერასმუს მუნდუს" გრანტიდან (3.1 მილიონი ევრო ორი წლის განმავლობაში). გრანტი მოიცავს სტიპენდიებს როგორც სტუდენტებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის. 65 სტიპენდია გაიცემა, რომელიც მოიცავს გადასახადებს, ყოველთვიურ სტიპენდიას, მოგზაურობას, საცხოვრებელს და ა.შ. დაახლოებით 15 სტუდენტი სრულად დაფინანსდება.<br>ყველა კურსი უკვე დანერგილია უნივერსიტეტში და აქვს ფინანსური მხარდაჭერა ადმინისტრაციისგან. სტუდენტები უკვე ჩაირიცხნენ გლაზგოში და თავად იხდიან საფასურს, რაც ადასტურებს პროგრამის მდგრადობას გრანტების გარეშეც. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |
| ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:** |
| |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:** |
| |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| |

| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
|---|
| |
| **შეფასება**<br><br>X შეესაბამება მოთხოვნებს<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს<br><br>☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს |

## პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან

| სტანდარტი | შეესაბამება მოთხოვნებს | ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | შეესაბამება მოთხოვნებს | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

| 5.1 მოქმედებს და საჯაროდ ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლს |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** |
| პროგრამაში ჩართული სამივე უნივერსიტეტი პასუხისმგებელია ხარისხზე.<br>ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს ფაკულტეტის და უნივერსიტეტის დონეზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გეგმავს შეფასების პროცესის პერიოდულობას, უზრუნველყოფს შეფასების პროცესს და მიღებული მონაცემების საფუძველზე წერს რეკომენდაციებს სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. პროგრამების შეფასება ხდება "არგუსის" მეშვეობით რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების მაქსიმალური ჩართულობა.<br>ხარისხის უზრუნველყოფის ოფისი ასევე იკვლევს კურსდამთავრებულების მოსაზრებებს. სტუდენტებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ ისინი მონაწილეობდნენ სტუდენტური კვლევებში და გარკვეული პრობლემები მოგვარებული იქნა.<br>ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნებულია, რომ ისუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, |

ტარტუსთან და გლაზგოს უნივერსიტეტთან ერთად, სწავლების ხარისხის კონტროლის უნარი აქვს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება ადმინისტრაციასთან

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

X შეესაბამება მოთხოვნებს

☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შიდა და გარე პროგრამის შეფასებები ხორციელდება თითოეული პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ შესაბამისი ქვეყნის წესების და რეგულაციების შესაბამისად.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გარე შეფასება ხდება აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს შეფასების შიდა მექანიზმები, მათ შორის გამოკითხვები და ფოკუს-ჯგუფები. პროგრამა ახალია და ჯერ არ არ ხორციელდება, თუმცა, რადგან უნივერსიტეტს აქვს შიდა პროგრამების შეფასების მექანიზმები არსებულ პროგრამებზე, ლეგიტიმურია, რომ იგივე სისტემა გავრცელდება ახალ პროგრამაზეც..

| მტკიცებულებები/ინდიკატორები |
| --- |
| ○ თვითშეფასების ანგარიში<br>○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება |
| რეკომენდაციები: |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) |
| შეფასება<br><br>X შეესაბამება მოთხოვნებს<br><br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს<br><br>☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს |

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან

| სტანდარტი | შეესაბამება მოთხოვნებს | ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
| --- | --- | --- | --- |
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | ☑ | | |

თანდართული დოკუმენტაცია (შესაბამისობის შემთხვევაში)

უსდ-ს დასახელება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ანგარიშის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან

| სტანდარტი | შეესაბამება მოთხოვნებს | ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|
| 1. პროგრამის მიზნები ნათლად არის განსაზღვრული და მიღწევადი; ისინი შეესაბამება უსდ-ს მისიას და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს | ☑ | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამული უზრუნველყოფის ადეკვატური შეფასება | ☑ | | |
| 3. სტუდენტის მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ☑ | | |
| 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა | ☑ | | |
| 5. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები | ☑ | | |
| საბოლოო შეფასება | ☑ | | |

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

უსდ-ს დასახელება:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ანგარიშის გვერდების რაოდენობა:

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტებთან

| სტანდარტი | შეესაბამება მოთხოვნებს | ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|
| 1. პროგრამის მიზნები ნათლად არის განსაზღვრული და მიღწევადი; ისინი შეესაბამება უსდ-ს მისიას და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს | ☑ | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამული უზრუნველყოფის ადეკვატური შეფასება | ☑ | | |
| 3. სტუდენტის მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა | ☑ | | |
| 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა | ☑ | | |
| 5. სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები | ☑ | | |
| საბოლოო შეფასება | ☑ | | |

ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

ნ. ზ[illegible]

TRANSLATION EQUIPMENT PLUS LTD
406091214